



იუსტიციის სამინისტრო

უფლებების განმარტება

გადაეცემა დაკავებულ პირს,

16 წელს ზემოთ ასაკის არასრულწლოვანი, ზრდასრული პირის თანაავტორი ან თანამზრახველი, დანაშაული გათვალისწინებული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 706-73 მუხლით.

ქვემოთ წარმოდგენილი ინფორმაცია უნდა გადმოგეცეთ თქვენთვის გასაგებ ენაზე.

მშობლის უფლებების მქონე პირს გადაეცემა იგივე ინფორმაცია, თუ ეს არ ეწინააღმდეგება თქვენს ინტერესებს და თუ არ არსებობს ეჭვი იმისა, რომ ეს ავნებს საგამომიებო ქმედებებს.

თქვენ შეგიძლიათ შეინახოთ ეს დოკუმენტი დაკავების მთელი პერიოდის მანძილზე.

თქვენ გაცნობეს რომ დაკავებული ხართ, რადგან არსებობს თქვენს წინააღმდეგ ერთი ან რამდენიმე დასაშვები მიზეზი ვივარაუდოთ, რომ თქვენ ჩაიდინეთ ან გქონდათ მცდელობა ჩაგედინათ დანაშაული ზრდასრულ პირთან ერთად როგორც თანაავტორი ან თანამზრახველი დანაშაულისა, რომელიც შედის განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ან ორგანიზებული სამართალდარღვევის კატეგორიაში, რაც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას.

თქვენ გაქვთ უფლება იცოდეთ იმ დანაშაულის კვალიფიკაცია და ჩადენის სავარაუდო ადგილი და თარიღი, რომლისთვისაც თქვენ ხართ ეჭვმიტანილი და ის მოტივები, რაც ამართლებს თქვენს დაკავებას.

თქვენ დაგკითხავენ ამ სამართალდარღვევასთან დაკავშირებით დაკავების პერიოდში, რომელიც შესაძლებელია გაგრძელდეს 24 საათი.

ამ ვადის გასვლის შემდეგ, რესპუბლიკის პროკურორს (გამომიებელ-მოსამართლეს ან ბავშვთა მოსამართლეს) შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება დაკავების ვადის დამატებითი 24 საათით გაგრძელება. თქვენ წარსდგებით ამ მაგისტრატი მოსამართლის წინაშე და თუ საჭიროება მოითხოვს, ეს მოხდება ვიდეო-კონფერენციის საშუალებით.

მიუხედავად ამისა, პირველი 48 საათის გასვლის შემდეგ, თუ დარჩენილი ჩასატარებელი საგამომიებო ქმედებების სავარაუდო ვადა გამართლებულია, ამ შემთხვევაში თავისუფლებისა და დაკავების მოსამართლეს, რესპუბლიკის პროკურორის ან მოსამართლე-გამომიებლის შუამდგომლობის საფუძველზე, შეეძლება გადაწყვიტოს დაკავების გახანგრძლივება ერთხელ, 48 საათის ვადით.

დაკავების ვადის ამოწურვის შემდეგ, რესპუბლიკის პროკურორის ან გამომიებელ-მოსამართლის გადაწყვეტილებით, თქვენ ან წარსდგებით მაგისტრატ მოსამართლის წინაშე ან გათავისუფლებული იქნებით. პირველ შემთხვევაში, თქვენ წარსდგებით მაგისტრატი მოსამართლის წინაშე დაკავების დასრულების დღეს. თუ არსებობს სპეციალურად მოწყობილი საკანი იურისდიქციის დაწესებულებაში და თქვენი დაკავება არ გაგრძელდებულა 72 საათზე მეტხანს, შესაძლებელია რომ წარდგეთ მოსამართლის წინაშე მომდევნო დღეს, თქვენი დაკავების ვადის გასვლამდე არა უმეტეს 20 საათისა. თუ თქვენი დაკავება გაგრძელდა 72 საათზე მეტხანს, თქვენი წარდგენა მაგისტრატი მოსამართლის წინაშე მოხდება დაკავების დასრულების დღეს.

გარდა ამისა, თქვენ გაქვთ უფლება :

გააფრთხილებინოთ გარკვეული პირები

თქვენი მშობლები ან თქვენი მეურვე ან ის პირი თუ დაწესებულება, რომლის პასუხისმგებლობაში ხართ, აუცილებლად იქნება გაფრთხილებული თქვენი დაკავების შესახებ. მათ აცნობებენ აგრეთვე იმ დანაშაულის კვალიფიკაციას, ჩადენის თარიღსა და ადგილს, რომელსაც თქვენ გედავებინან.

თქვენ შეგიძლიათ მოითხოვოთ, რომ გააფრთხილონ თქვენი დაკავების შესახებ ტელეფონით ის პირი, ვისთან ერთადაც ცხოვრობთ, ერთერთი მშობელი, ან ერთერთი მამა ან და ან კურატორი ან მეურვე.

თქვენ, აგრეთვე, შეგიძლიათ მოითხოვოთ, რომ გააფრთხილონ თქვენი დამსაქმებელი.

თუ თქვენ უცხო ქვეყნის მოქალაქე ხართ, თქვენ, აგრეთვე, შეგიძლიათ მოითხოვოთ, გააფრთხილონ თქვენი ქვეყნის საკონსულო სამსახური.

გარდა გარდაუვალი მდგომარეობისა, თქვენი მოთხოვნიდან მაქსიმუმ 3 საათში უნდა შესრულდეს თქვენი მოთხოვნები.

მუხედავად ყველაფრისა, რესპუბლიკის პროკურორს (მოსამართლე-გამომძიებელს ან ბავშვთა მოსამართლეს) შეუძლიათ მოითხოვონ ამ პროცედურების გადავადება ან არ ჩატარება, თუ ეს წარმოადგენს აუცილებლობას მტკიცებულებების შეგროვებისთვის ან დაცვისთვის ან, თუ საფრთხე ემუქრება ვინმეს ჯანმრთელობას, თავისუფლებასა და სიცოცხლეს. თქვენი ოფიციალური წარმომადგენლის გაფრთხილების გადავადება შესაძლებელია მაქსიმუმ 24 საათი, წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ დაკავება გახანგრძლივდება, შესაძლებელია მხოლოდ 12 საათით.

თუ თქვენი დაკავება გადაჭარბებს 48 საათს, თქვენი ახლობლების და დამსაქმებელის გაფრთხილების გადავადება შენარჩუნებული იქნება იმავე მიზეზების გამო თავისუფლებისა და დაკავების მოსამართლის მიერ (ან მოსამართლე-გამომძიებლის მიერ).

თქვენ შეგიძლიათ მოითხოვოთ კომუნიკაციის დამყარება წერილობით, ტელეფონით გარკვეულ პირებთან ან გასაუბრების დროს, იმ პირთან რომელსაც სავარაუდოდ აცნობეს თქვენი დაკავების შესახებ.

პოლიციელ-გამომძიებელს შეუძლია უარი გითხრათ თქვენს თხოვნაზე, იმ შემთხვევაში, თუ თქვენი თხოვნა დაკავების მოტივებთან არ არის შეთავსებადი ან ახალი დანაშაულის ჩადენის რისკი წარმოქმნას. ის განსაზღვრავს თქვენი კომუნიკაციის მომენტს, ხანგრძლივობასა და პირობებს. კომუნიკაცია არ უნდა აჭარბებდეს 30 წუთს და ან მისი კონტროლის ქვეშ ჩატარდება ან იმ პირისა, ვისაც იგი აირჩევს.

თუ თქვენი დაკავება გადაჭარბებს 48 საათს, პოლიციელ-გამომძიებელს აღარ ექნება საშუალება უარი გითხრათ თქვენი ქვეყნის საკონსულო სამსახურთან კომუნიკაციაზე.

მოითხოვოთ ექიმის ვიზიტი

თქვენ შეგიძლიათ მოითხოვოთ ექიმის ვიზიტი დაკავებისთანავე. დაკავების გახანგრძლივების შემთხვევაში, თქვენ შეგიძლიათ მოითხოვოთ ხელახალი სამედიცინო შემოწმება. თუ თქვენი დაკავება გადაჭარბებს 48 საათს, თქვენ აუცილებლად გაივლით სამედიცინო შემოწმებას და გაცნობებენ თქვენს უფლებას, რომ თქვენ გაქვთ ხელახლა სამედიცინო შემოწმების უფლება. ექიმის ვიზიტი თქვენთვის შეუძლია მოითხოვოს თქვენმა მშობლებმა, თქვენმა მეურვემ ან იმ პირმა თუ დაწესებულებამ, რომლის პასუხისმგებლობაშიც ხართ.

თქვენს ადვოკატსაც შეუძლია მოითხოვოს თქვენთვის ექიმის ვიზიტი.

აღიაროთ, უპასუხოთ კითხვებს ან გამოიყენოთ დუმილის უფლება

იმის შემდეგ, რაც თქვენ დაადასტურეთ თქვენი პირადობა, დაკითხვისას, თქვენ გაქვთ უფლება:

- აღიარებით განცხადებები გააკეთოთ,
- უპასუხოთ თქვენთვის დასმულ კითხვებს,
- ან შეინარჩუნოთ დუმილი.

თან გახლდეთ თქვენი ოფიციალური წარმომადგენელი

თუ კომპეტენტური ხელისუფლება ჩათვლის აუცილებლად, თქვენს დაკითხვას ან გამოკითხავს შეიძლება დაესწროს თქვენი მშობელი. თუ საჭირო იქნება თქვენ შეგიძლიათ დაასახელოთ სხვა ზრდასრული პირი, ან მაგისტრატ მოსამართლეს შეუძლია დაასახელოს ზრდასრული, ვინც თქვენთან იქნება.

იყოლიოთ ადვოკატი

დაკავებისთანავე თქვენ გეყოლებათ ადვოკატი

ადვოკატის არჩევა

დაკავებისთანავე ან დაკავების ხანგრძლივობის მანძილზე ან დაკავების გაგრძელების შემთხვევაში, გაგრძელებისთანავე, თქვენ შეგიძლიათ მოითხოვოთ თქვენი რჩეული ადვოკატის დანიშვნა, თუ თქვენ ვერ შეძლებთ ადვოკატის დასახელებას ან შეუძლებელი იქნება თქვენს ადვოკატთან დაკავშირება, ამ შემთხვევაში პოლიციელი-გამომძიებელი ან რესპუბლიკის პროკურორი, მოსამართლე-გამომძიებელი ან ბავშვთა მოსამართლე მოითხოვს სახაზინო ადვოკატის დანიშვნას.

თქვენს მშობლებს, მეურვეს ან იმ პირს თუ დაწესებულებას, რომლის პასუხისმგებლობაშიც ხართ, შეუძლია ადვოკატის აყვანა თქვენთვის.

ადვოკატის დახმარება და ადვოკატის საქმეში ჩართვის ვადა.

ადვოკატს შეეძლება თქვენთან გასაუბრება 30 წუთის მანძილზე, იმ პირობებში, რომელიც გასაუბრების კონფიდენციალობის დაცვის გარანტიას იძლევა. დაკავების გახანგრძლივების შემთხვევაში, თქვენ შეგიძლიათ კვლავ მოითხოვოთ ადვოკატთან გასაუბრება.

თუ თქვენ მოითხოვთ, მას შეუძლია დაესწროს დაკითხვას, დაპირისპირების თუ დანაშაულის სცენის აღდგენის საგამომძიებო მოქმედებებს, სადაც თქვენც მონაწილეობთ.

ამ შემთხვევაში თქვენი პირველი დაკითხვა თუ ის არ ეხება თქვენი პირადობის დადგენას, არ შეიძლება დაიწყოს ადვოკატის გარეშე. თუ რა თქმა უნდა ადვოკატის დანიშვნის მოთხოვნიდან 2 საათი არ არის გასული. თუმცა თქვენი პირველი დაკითხვა შესაძლებელია დაიწყოს დაუყოვნებლივ, ადვოკატის გარეშე, რესპუბლიკის პროკურორის (მოსამართლე-გამომძიებლის) ნებართვით, თუ გამოძიების აუცილებლობა მოითხოვს.

თუ თქვენი ადვოკატი გამოცხადდება დაკითხვის ან დაპირისპირების მიმდინარეობის მანძილზე, თქვენი მოთხოვნით ეს ქმედება შეიძლება შეწყდეს, რათა თქვენ მოგეცეთ საშუალება გაესაუბროთ თქვენს ადვოკატს .

მიუხედავად ამისა, თუ თქვენ გემუქრებათ არ ნაკლებ 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რესპუბლიკის პროკურორს, მოსამართლე-გამომძიებელსა თუ თავისუფლებისა და დაკავების მოსამართლეს, გამონაკლისის სახით, სავალდებულო მიზეზების გამო, შეუძლია გადაწყვეტილება მიიღოს და გადაავადოს მაქსიმუმ 12 საათით, ერთხელ განახლების შესაძლებლობით, ადვოკატის დასწრება დაკითხვაზე ან დაპირისპირების საგამომძიებო ქმედებებზე.

თარჯიმნის დახმარება

თუ თქვენ არ საუბრობთ ფრანგულად და არ გესმით ფრანგული ენა, თქვენ გაქვთ უფლება დაიხმაროთ, უფასოდ, თარჯიმანი დაკითხვის პერიოდში და ადვოკატთან გასაუბრებისას.

თქვენ შეგიძლიათ მოითხოვოთ დაკავების დასრულება

თქვენ შეგიძლიათ მოითხოვოთ რესპუბლიკის პროკურორს ან მოსამართლე-გამომძიებელს ან ბავშვთა მოსამართლეს, როცა მაგისტრატი მოსამართლე გადაწყვეტს თქვენი დაკავების გახანგრძლივებას, რომ არ გააგრძელოს ეს ზომა.

თქვენს საქმეში არსებულ ზოგიერთ მასალაზე წვდომა

თქვენი ან თქვენი ადვოკატის თხოვნით, თქვენ შეგიძლიათ წაიკითხოთ, დაკავების სავარაუდო გახანგრძლივებამდე:

- დაკავების ოქმი;
- იმ ექიმის მიერ შედგენილი სამედიცინო ცნობები, რომელმაც გაგსინჯათ;

- დაკითხვის ოქმი ან ოქმები.

მოსაზრების გაზიარება რესპუბლიკის პროკურორისთვის

დაკავების დასრულების შემდეგ, ერთი წლის განმავლობაში, თქვენ შეგიძლიათ თხოვოთ რესპუბლიკის პროკურორს წერილობით. სამახსოვრო ბარათის სანაცვლოდ ან სასამართლოს მდივანს, სამახსოვრო ბარათის სანაცვლოდ, წაიკითხოთ თქვენი საგამომიებო პროცედურების დოსიე, რათა თქვენი მოსაზრება გამოთქვათ.

თქვენი პირადი ცხოვრების დაცვის უფლება

დაკავების პერიოდში თუ არ არის ტექნიკური პრობლემა, თქვენი დაკითხვა იქნება გადაღებული აუცილებლად, ამ დაკითხვების ჩანაწერის გავრცელება იკრძალება.

მისი გაშვება მოხდება, მხოლოდ, დახურულ სასამართლო სხდომაზე და ამ დახურული სხდომის ნებისმიერი ანგარიშის გასაჯაროება, რომელის საშუალებითაც შესაძლებელი იქნება თქვენი იდენტიფიკაცია, აკრძალულია.